



№ 7 თბილისი აპრილი 1958

საბჭო

გაოსტების XXXVI წელი ფასი 2 ზან.

ტრაქტორების, კომბაინების და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანების მიყიდვა უშუალოდ კოლმეურნეობებისათვის აღკვეთს იმ დრომოჭმულ წესს, როცა ერთსა და იმავე მიწაზე მეურნეობას აწარმოებს ორი სოციალისტური საწარმო—კოლმეურნეობა და მტს-ი, რაც იწვევს ორმაგობას, პარალელიზმს ხელმძღვანელობაში, გაუპიროვნებას წარმოების ორგანიზაციაში, ზედმეტი სამმართველო აპარატის ყოლას და საბოლოო ანგარიშით იმას, რომ სრულად არ არის გამოყენებული წარმოების იარაღები და სამუშაო ძალა.

(გაზეთებიდან)

— ახლა კი შეიტყობენ, შვილსა, რაიონში, ჩვენი გიორგი როგორი თავმჯდომარეცაა.

— მაინც როგორა, ნიკა?

— აი, მტს-ი რომ აღარ იქნება და ხელშესახოცი არავინ ეყოლება, ვიღაც დააბრალებს იმ ჩვენი ველ-მინდვრების დროზე მოუხვნელობასა და დაუთესაობასა, შა!

ქაჩაგული ნაკვესები

მკერავი იმდენ ნაჭერს იტოვებდა, კლიენტებს ხელზე დასახვევად ყოფნიდათ.

მხატვრის მიერ დახატული ზღვა მეტიმეტად დაბალ დონეზე იდგა.

გასაყოფი რომ არაფერი დარჩათ, ერთმანეთს ენას უყოფდნენ.

მძლოლი ისე დაუფლებოდა ხელობას, წინ ვერავინ ვერ დაუდგებოდა.

მოჩხუბარ ცოლ-ქმარს სწამდა, რომ გაცილებით უკეთესად იქნებოდნენ.

სხვებს რომ ვეღარ უყვიროდა, კაბინეტში საკუთარ ხმას ამუშავებდა.

სტუმარს ლობიოს თავაზობდნენ, ის კი გოჭის ყურებით ვერ ძლებოდა.

მხატვარი თავის სურათებს უყვე ერთი ჭიქის მოსმით ხატავდა.

თვალის ექიმი ისე დაბნეულიყო ოპერაციაზე, ავადმყოფს თვალს ვეღარ უსწორებდა.

ა. თაყაიფილი

ხან. დ. ერისთავისა



— დასწყევლოს ღმერთმა! ფეხბურთის ბილეთი დაგკარგე, პასპორტში იდო.

კ დ ა მ ი ა ნ ი ს ს ნ ე უ ლ ე ბ ა ნ ი

„უპირველეს ყოვლისა, გისურვებ ჯანმრთელობასა და კარგად ყოფნას“...
უცნობი ექიმის წერილებიდან

კაცს სხეულის რამდენი ნაწილიც გააჩნია, იმდენაირი ავადმყოფობა აქვს პოტენციაში.

ამის წყალობით მოდაში შემოვიდა გარდაცვალების შემდეგი სახეები: ა) ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობით გარდაცვალება (ექიმების და წამლების წყალობით); ბ) უდროოდ ხელიდან გამოცლა (მიზეზი ექსპერტისათვისაც გაურკვეველია).

ისე, წინათაც იხოცებოდნენ ადამიანები. მაგრამ თანამედროვე მედიცინის დამსახურება იმაში მდგომარეობს, რომ ავადმყოფმა უკვე წინასწარ იცის რითიც კვდება.

თქვენ წარმოიდგინეთ, ამ დაავადებებს კიდევ ეშველებოდა რამე, მაგრამ ადამიანს სულს უღრღნის მთელი წყება ფსიქიკურ სნეულებათა, რომელთა წინაშე მედიცინა ფარ-ხმალს ყრის. ესენია:

1) ჭორუსი (იგივე ჭორა). ამ სნეულებით უფრო ხშირად ზოგიერთი დიასახლისი ავადდება. თუმცა არც მამაკაცები არიან მისგან დაზღვეული. წარმოშობის მიზეზად მიიჩნევენ უსაქმურობას. სურდოსი არ იყოს, გადადის ლაპარაკით. მისი ბაქტერიები დაავადებული პირს პირიდან იჭრება მეორე პირის ყურში. ავადმყოფს უღიზიანდება ყნოსვა, ეზრდება ყურები, ბუდიდან უვარდება თვალეები, უგრძელდება ენა, ექავება ზურგი და უტკივარ თავს ძალით იტკივებს.

2) ჭორუსის გარაულებას ცილისწაშება წარმოადგენს (შდრ. სურდო და გრიპი). იგი ემართებათ ყველა პროფესიის ადამიანებს. სნეულება იჭრება გულში და მას ღვარძლით ავსებს. ავადმყოფს უვითარდება ცხოველური ინსტინქტები: ემღვრევა თვალეები, უწყდება შუბლის ძარღვი, ენაზე ეკვრება შხამი და კარგავს ადამიანურ სახეს. იგი კბენს უდანაშაულო პიროვნებას და ამიტომ მშვიდდება. დაავადებული არ გრძნობს არავითარ სულიერ ტკივილსა და ქენჯნას. მთელი ცხოვრების მანძილზე პირ-შავად რჩება. ადამიანები გაურბიან მასთან კონტაქტს. მის დანახვაზე გულიც კი ერევთ. ასეთი ავადმყოფები ცოცხლად კვდებიან.

3) შურუსი (იგივე შური). ავადმყოფობის გავრცელებას ხელს უწყობს სხვისი ჯანმრთელობა და კარგად ყოფნა. დაავადებული ვერ იტანს სხვის წარმატებას. გული ევსება ბოლმით, ეწყება კბილების კრაჭუნი, ეკარგება მადა, უტყდება ძილი და აწყებინებს ცახცახს.

ასეთი ადამიანები ბოლოს და ბოლოს ერთმანეთს ჭამენ. ავადმყოფობის უკიდურესი გამოვლინებაა: გულზე, კუჭზე ან ჭიპზე გასკდომა.

4) ეჭვოვანია—მამაკაცებს ემართებათ ცოლის შერთვის შემდეგ, როცა საქმე უსიყვარულოდ და ანგარებითაა გაკეთებული. დაავადებულს ერვენება, თითქოს ცოლი ფეხქვეშ თელავს ოჯახურ სიწმინდეს. თვალთ უბნელდება, გონება ეკარგება, ფერი მისდის, გული მოსდის და მძიმე სულიერი ტკივილები ეუფლება. უკანასკნელ სტადიაში ავადმყოფი სწვება მეორე ან მესამე პირს საყლაპავ მილში და ახრჩობს. გამონაკლის შემთხვევაში სიცოცხლესაც თვითმკვლელობით ამთავრებს. უფრო ძლიერი ნებისყოფის ავადმყოფები 500 მანეთს სწირავენ ერთ პატარა განცხადებაში, ბოროტმოქმედს გუდა-ნაბადს უკრავენ და დარჩენილ დღეებს მშვიდად ატარებენ.

ისე, ქალებსაც ემართებათ ეს დაავადება, მაგრამ სროლა არ არის. ქალი სვამს იოდისა და სულემას მორიდებულ დოზას და ხელების საგსავით მოითხოვს სასწრაფო დახმარებას.

5) განდიდების მანია. გონების დაავადებაა. განსაკუთრებით ემართებათ პოეტებსა და თანამდებობის პირებს.

თუ დაავადებული პოეტია, ერვენება, რომ ის ყველაზე დიდია და ამიტომ ხანდახან ურევს. აღარაფერს კითხულობს, საკუთარი ლექსების გარდა. საღამოობით მამადავითზე ადის და თავისი საფლავის ადგილს იზომავს. ბოლოს ბრმავდება და ვეღარავის ამჩნევს. ავადმყოფისათვის უებარი წამალი იქნება, არსად არაფერი არ დაუბეჭდონ.

თუ დაავადებული თანამდებობის პირია, იგი უზომოდ იბერება, ცხვირს მალა სწევს, კაბინეტში არავის ღებულობს, თავისი უფროსის გარდა. რატომღაც უფუჭდება ნერვული სისტემა, ერვევა ღრიალს, ხელის მაგიდაზე დარტყმას, სხვის შეურაცხყოფას. იქამდის სუსტდება, რომ ფეხით ვეღარ დადის და მანქანით ატარებენ.

საზოგადოებისათვის უკეთესი იქნებოდა ასეთი ავადმყოფის მოხსნა და იზოლაციაში ყოფნა.

ადამიანებო, იყავით ფეხზღად! ნუ გაუღებთ გულისკარს ზემოთ ჩამოთვლილ სნეულებებს! გახსოვდეთ, რომ მედიცინა უსუსურია მათთან ბრძოლაში.

ჭარი ჭარალიფილი

სწარტი ცხოველია ჯიქი. შეჭრავს კამარას და შიგ გამოაშფვდევს მსხვერპლს. ჯიქიაჲ შეჭრავს ხოლმე... ბოხჩას და შიგ ამწყვდევს ქათმებს, ბატებს, გოჭებს, ძროხებს. ესეც ხომ ერთგვარი მსხვერპლია! მაგრამ ჯიქია მაშინ შეცდა, როცა იმ ბოხჩაში გონიერი არსებები—ცოლის გამოცხრა მოი-სურვა. აქ ვერ გაზომა ნახტომი ჯიქიამ და კამარა გაუცუღდა.

— მაწონი!—გაიძახა და ძველად წყნეთელი მემაწვენე.

აკაკი ჯიქია კულტურული კაცი—ინჟინერი, თავს ხომ არ დაიმდაბ-ლებს და მაწონს კარდაკარ ხომ არ ჩამოატარებს! გოჭების, ქათმების, ბა-ტების, რძის ნაწარმის სარეალიზაციოდ მან 1951 წელს „ოპელ ადამი“ შეიძინა. ბოხჩა თანდათან იზრდებოდა, ველარ წვეტია „ოპელში“ და იგი „პობედან“ შეცვალა. ბოხჩა კვლავ გაიზარდა, გაიტენა, ველარ გასწვდა „პობედა“ და მის ადგილზე „ზიმმა“ მოიწონა თავი. მრავალჯერ უნახავთ ნალჩიკის გოჭებთან თუ თიანეთის ქათმებთან დატვირთული ჯიქიას „ზი-მი“ საკოლმეურნეო ბაზაჲს რომ მიდგომია. აკაკი ლიმილით ანკარიშობდა სარუჲს, წარმოიდგენდა, როგორ გაიზრდებოდა კიდევ რამდენიმე სანტიმეტ-რით მისი ბოხჩა, და მაინც ეს ქვეყანა მთლად არავის გაახარებს; მეორე ცოლი ვერ შეხვდა შესაფერისი აკაკის. აბა ვის რაში უნდა ცოლის მეცნიე-რული მუშაობა, როცა ამოდენა მეურნეობა მოსავლელია!

— ქალო, ეშმაკს წაუღია შენი მეცნიერება, ძროხებს მიხედე, მოსაწვე-ლი დაგვრჩა!

არაფერი გამოდიოდა. მეცნიერ მუშაკის კალამს შეჩვეული თითები ძროხას რძეს ვერ აღენდნენ. აუსუს აკაკის თითები! თუ გაჭირდა, ეშმაკს მოწყვლიან, ძროხა რა არის!

გაზრდილობა მეურნეობამ კი გაზრდილი მუშახელი მოითხოვა. აკაკიმ ორი შინამოსამსახურე დაიქირავა და მოჯამაგირებდავით ამუშავებდა. დღეიდან ამათ დაქონდათ ბაზარში მაწონი. მაგრამ ეს ყველაფერი ხომ ერთი ლუკმაა. მოიქნეს ყბას ჯიქია და გაჭჭრა ლუკმა. აკაკიმ მეორე ბოხ-ჩაც გამოკრა, პენსიონერი გახდა და სახელმწიფო ჯიბიდან 15.840 მანეთი ამოაცოცა. ერთი წლის განმავლობაში სამამულე ომის ინვალიდი იყო, ზერე კი ჩვეულებრივი, მეორე ჯგუფის მოკვდავი ინვალიდი. როცა გაუგეს აღარც ერთი იყო და აღარც მეორე. 15.000 მანეთი რა სახსენებელია, ამ-ბობს აკაკი, ზუსტად ამდენი ჩემმა მეცნიერმა ცოლმა ჩამოყაჭა, როცა სახ-ლის მშენებლობა დაიწყო.

მაშინ ნამდვილად ტკბილი კაცი იყო აკაკი ჯიქია. მაშინ მთლად არ გამოუმჯღავნებია ჯიქის ბუნება. სიდდერთან ცხოვრობდა და ცოლ-ქმარი დანაზოგებით სახლს აშენებდა. 4.000 მანეთამდე აღწევდა მათი ხელფასი. 15.000 მანეთი მარტო ცოლმა მისცა. 20.000-მდე სახელმწიფომ ასესხა ორი-ვეს და აშენდა სახლი, გაიფურჩქა მეურნეობა და აკაკის ჯიქური ხასიათი.

— ქალო, აღარ მიწინაა, არ გეამის? ძროხის მოვლა შენ არ იცი და ქათმის, სხვა რაღაში გამოზადებული?—ხმას უწევდა თანდათან აკაკი.

ოჯახში უსიამოვნების ზრდამ მეურნეობის ზოდას გაასწრო. ჩხუბი, ლანძღვა-გინება და ზოგჯერ ხელის წაშველებაც ისწავლა აკაკიმ. ცოლი იძულებული გახდა სახლიდან წასულიყო. მაგრამ არც მთლად გულქვა კაცი ყოფილა აკაკი; ცოლს ჯიბეში 30.000 მანეთი ჩაუდო და გელაჩუყებულმა ამ სიტყვებით დაანშვიდა:—ჰა, გქონდეს ეს სახლის საფასურში. მალე კი გამოირკვა, რა უჩუყებდა გულს აკაკის. ეს მაშინ, როცა მესამე ცოლი

შეირთო (გულმავიწყობისათვის ბოდიშს ვიხდით, პირველი ცოლ-შვილი მან დიდი ხნით აღრე მიატოვა მოსკოვში). მეორე ცოლთან კი თფიციალურად 1956 წლის 9 ნოემბერს განქორწინდა, 20 ნოემბერს მესამესთან ხელი მოა-წერა, ხოლო 24 ნოემბერს სახლის მეორე სართული 120.000 მანეთად გა-ყიდა.

ასე გამოჭრა ა. ჯიქიამ მესამე ბოხჩა, და რომ ამ ბოხჩას კვანძი მა-გარი ჰქონდა, აკაკიმ თბილისის საბჭოს ტექნოლოგიის ბიუროდან ყალბი ცნობა წამოიღო—სახლი მარტო მე შეკუთვნას და ჩემს მეორე ცოლს მას-თან არაფერი კავშირი არა აქვსო. გამოცხადდა ნოტარიუსთან—ა. ჯიქია, მესამე ცოლი და სახლის მყიდველი მ. ცინცაძე. ჰკითხეს მესამე ცოლს, წინააღმდეგი ხომ არ ბრძანდებით, რომ თქვენმა ქმარმა სახლის ნახევარი გაყიდოსო. აბა, მეორე ცოლის შრომით მოპოვებული ქონების განიავებას მესამე ცოლი წინ რად აღუდგებოდა? მით უმეტეს, რომ 30.000 მანეთის მსცვლად ოჯახს 120.000 მანეთი ემატებოდა. სახლი გაიყიდა. აქ კი გაუგეს ჯიქიას, სამივე ბოხჩა გადმოუჭექეს და სასჯელიც დაადეს. სადავო სახლის ს. ქმე კი სასამართლოს მიუვიდა.

ამბობენ, ჯიქია ჯიქურ ტრიალებს და საქმის მოყვარბჭინებას კვლავ თავის სასარგებლოდ ლამობსო.

ნეტავ სად გამოეხსნება ნასკვი ჯიქიას ბოხჩებს?

გ. ვეფხვაძე

ნან. ნ. სარაჯიშვილისა



— რა ბედნიერი ხარ, ბებია, ფეხბურთში რომ ვერ ერკვევი!..
— რავა, წავაგეთ თუ?!


ნიანგის ლექსიკონი

- ზმნა ერთპირიანი და ორპირიანი**—აღამიანებზეც იტყვიან.
- პარიანობის გამოცნობა**—ძნელი საქმეა.
- ზმნა ხამპირიანი**—როცა სუბიექტი ავალებს პირდაპირ ობიექტს—ი.რ.ი. ობიექტი სარფიან სამსახურში მოაწყოს.
- პირის ნიშნები**—ძნელი გასარჩევია, საგამომძიებლო ორ-განოები თუ გამოიცნობენ.
- კილო**—იმაჲსაც აკლებენ.
- კილო ბრძანებითი**—ავტორიტეტის ასამაღლებლად იხმა-რება.
- ქცევა**—უწესო მოქმედებაზეც იტყვიან.
- ქცევა სათავისო**—„ხალტურა“.
- ქცევა სახსვისო**—გამყიდველის „ხალტურიდან“ გამგისათ-ვის გადადებული თანხა.
- გარდამავლობა**—გამფლანგველის გადაყვანა ერთი წარმოე-ბიდან მეორეში.
- მიცემითი ბრუნვის ნიშანი**—ქრთამი.
- ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი**—მამიდაშვილი, დედაშვილი, ბიძაშვილი ან სხვა მოკეთე—გამოყენებული საქმეში.

შეადგინა ვ. ჩაჩუაძე

- იუმორი**—იხ. ქვემოთ.
- თმები**—წარვიდნენ, გაქრნენ სიზმარებ ჩქარად.
- ქელენი**—ამხანაგებო, დაუვიწყარ ბიკენტის სიმღერა უყ-ვარდა!
- პაემანი**—ინიშნება საათთან, რათა ზუსტად აღირიცხოს დაგვიანების დრო.
- ხახვი**—ყურებზე დასაქრელი მცენარე.
- უხსენებელი**—ვერ ვახსენებ.
- ლარნაკი**—ღვინის ქურქელი, ყვავილებისთვისაც ხმარობენ.
- ხურათი**—ჩამონგრეული კედლის მაგიერი.
- კუპატი**—ფორმისა და შინაარსის სხვადასხვაობა.
- პრეტენზია**—უპრეტენზიო სიტყვაა, ამიტომ ბევრს გააჩ-ნია.
- წიგნის ქურდი**—მწერალში არ აურიოთ.
- მოხსენება**—წინდაწინ რომ მოგეხსენებათ.

შეადგინა შოთაშ



ნან. გ. ფირცხალავასი

— ვინ თქვა „ოსკა“ „ა“ კლასში არ გადავათ!

ტყეში გავრინდნენ ჩიტები ჩაწერი აპარატებით, საწერი-კალმით, ნოტებით, მითრითაი პალსტრუ-ბანტებით. ტყვის ედებოდა ფრინველია გალობა დამთრბობით, სტყენდა და სტყენდა ბულბული ბუნების დამტყობაუბით. ჩხიკვი, ვერითი თუ კოდალა საკმეში იყენენ გაზრდობით, და თითოეულშეკი ჩაწერა ტყბილი პანგები კართული.

და მერე ყიდნენ ფირტიტებს, საკმე ჰქენენ მართლაც ბალღური, ყველა თავისად ასაღეს, რაი ჩაწერეს ხალხური: „ანანა“, „ლილი“ თუ „ჩინვერია“, „ას მღირთა ბუესურია“, „ეთხელ ვიზილი“, „ფერცხალი“, „სალღურია“ და „მუქსურია“. „მიფარაზი, ქალუ“, „ადღურია“, „გოფი“, წამილ წყაროსთან“, წარმატება ხედ აგრეთვე „იზრულ სახურასა“.



ერთი ლომი იყო. სხვა ლომებისაგან იგი იმით განსხვავდებოდა, რომ წყნად და ღვწამს ხორცს იმით შოულობდა. მისი ძირითადი საქმიანობა ღვწამისა და რომანების წერა იყო. მაგრამ, როცა ფულით შემოკლებოდა, კინოსცენარის დაწერის გეგმებულსაც იღებდა, თუმცა მისი სცენარი არც არაიის უნახავს და არც არაიის წაკითხავს. მოგესწონებოდა, ყველა საქმეს აქვს თავისი დაღები-თი მხარეცა და უპროფიტიც. დაუწერელი სცენარებში ფულს მხოლოდ ერთხელ აძლევდნენ. რა თქმა უნდა, პატარა თანხას ვინ შემკადრებდა! ხომ იყოთ, ლომს უფრო დიდი მოთხოვნები ჰქონდა, ვიდრე ტურის, მეგლს, დაფს და თუნდაც ვეფხვსაც. ერთხელ მეგლს ურჩია: „დიდი მყარანგული, პიესა დასწერეთ. თეატრი შეისვენოს, ფულს შესყიდვას გადავიხიან, შემდგომში კი თქვენს პიესას, როგორც არ უნდა იყოს, ვერ მოხსნიან და ყველა დაფგამზე პროცენტები უწვევტ წყაროსავით იღვენს“.

ლომს მეგლას მოსაზრება ტყეში დაუჯდა, იქვე მიუჯდა მაგდისა, მარჯვენა თათით ავტოკალამი მოიპარეცა და სახელდახელად პიესა გამოიკვი.

ლომს ერთი კავშირის დრამატიკის წარუდგინა, იქიდან სათანადო რეკონსტრუქციით თეატრის სახანატრო სახეის გადასაცეს იგი. სახანატრო სახეში იმგამად რამდენიმე ვეფხვი, მეგლი, ტურა და ცხვირი შედიოდა.

დანიშნა პიესის განხილვა. ერთმა მეტიმარა მეგლმა თავი წამოიხადა და საკუთარი აზრის გამოთქმა მოიწადინა:

„საკუთარ აზრს, თუკი ასეთი რამ საერთოდ გაანიათ, მხოლოდ ბრიყვები წარმოთქვამენ. ვერა ხედავ, ყველა ჩუქმად არის და თავს აკანტურებს,—წასწორად ვგვარდით მჯობინა ტურამ.—იხსიანთეს კი არა გავს, რომ, რაც პირზე მოვადგემა, ყველაფერი წამოყარა. მხოლოდ ის უნდა დაკარგო, ვისაც სხვებზე აკრტიკებენ, თორემ ლომსა და მის მიმხრეებს ღვწამად არ გყოფა“.

„საქვიდაო“ თუ „მეგრული“... ეკ, რა ჩამოთვინის ყველას, ხელდა მიკოთვინო ფიფიოსა იფოფის, გუგულს თუ ძერასა.

—:—

ვინც გნებავთ, დადასტურებ ჩემი ნათქვამის სისწორებს, ცხადია, ეს „არ ეტება“ ჩვენს ქართულ კომპოზიტორებს!

დ. მ. ძალიანი

ტურის ასეთი შეგონებისა და ბრძული გაფრთხილების შემდეგ მეგლს კინიტი არ დაძრავდა და პიესა ერთსულგონად და ერთხმად მიიღეს.

მეგლ პიესა თეატრში აღმოჩნდა. იქ დადგმულ-მელოდრამად ვეფხვი დანიშნეს, მისივე დაწერა ვერს დასავლეს: დიდი ყურები აქვს და შესანიშნავი მულოდობით ეცოდნება. მხატვრად მაიმური მიწვიეს: მიმაძევაში ტოლი არა ჰყავს და ქაც თავს ისახებულს. ცეკვების დადგმა დათეს დაავალეს, ბავჯაუთი საქვენოდა ცნობილი და ახლა რა ღმერთი გაუწერებიათ.

ამის შემდეგ რეისორმა როლემა გაანაწილა და პრემიერაც დაიწინა. მაყურებელმა სპექტაკლი ცივად მიიღო, მაგრამ მერე დღეს ყველა განკვირებულნი დარჩა, როცა მეგლს რეკენზია წაიკითხეს:



ლომი თავისი პიესით, რომელზეც იგი, მტყობა, წლების მანძილზე მუშაობდა, პოეველინა როგორც ტყეშიტი ხელოვანი და მზარდი დრამატურგი, მას დღემდე ჩვენი საზოგადოება იცნობდა როგორც ნიჭური რომანისტსა და საკუთარი პოეტური ხმის მქონე თავისუფლან. დღეს მან ერთხელ კიდევ გვიჩვენა თავისი უმრავლესი პიესის კიდევ ერთი კონკრული და დრამატურად გამოკვეთილი.

ჩვენმა მალღმობიანმა მაყურებელმა ლომის მალღმობისრუსული პიესა დიდი თავყებით, სიყვარულით და გულთხილად მიიღო. პიესის დადგმა ვეფხვის ყველასაგან პატყენსა მისი პიესის დაფგამად ვეფხვის ყველა დაფგამად ვეფხვის სცენიური გამოკვეთისათვის. მთელ პიესას წითელი ნაზივით ვასცენ რეისორის შთაგნებული მაგარი პარღვანი თათი, რომელსაც ყველა მსახიობი, გინა დიდი და გინა მცირე, თავის ორბიტში მოუქცევია. რეისორის ტლანტის რდიოთა და კრძალეთი ყველა მსახიობი მთელის მომღმობით,

უშუალოთა და დამაკვირბლოთი წარმოგვიგება სცენაზე, რითაც უდღესს შობკედღებებს ახვენს მაყურებელს.

ზაფრულად გაფრთხილული სპექტაკლი ატარის დახვეწილი და ნიტფი ვეფხვის აპარა დადასტურება იყო. ვეფხვის შეხვეშა, სიხვე და სინიდრე თვალთაილი მეტყველებდა მხატვრის მაღალ კულტურასა და აბსოლუტურ ვემოციუნებაზე.

მაიმუნმა ერთხელ კიდევ დაამტყცა, რომ მას, გარდა მიმაძვისა, შეუძლია შესანიშნავი ორიგინალური მხატვრობისა და დეკორაციების შექმნა, ჩვენი მადღური მაყურებელი მისგან კიდევ მრავალ შეუდარებელ შედეგს მოიღოს.

სპექტაკლის საერთო წარმატებას ხელს უწყობს ვირის ორიგინალური და რძამდ თავისებური მუსიკა, რომელსაც ღრმა მელოდურრობა და წარმატებული ვლერადობა ახასიათებს. კარგია მის მიერ მონახული მუსიკალური ვერბები. მთლიანად მუსიკის ბრწყინვალე ბეგარდობა ახასიათებს.

დათვა გვიჩვენა, რომ მისი სახით ჩვენ გვეყვს ნიჭური, სხარტი, მოწილი, ვაწილი და, ამავე დროს, საიერად რიტმული ჯამბი.

შესანიშნავი იყო ყველა მსახიობი (ისინი კი, რომლებიც ამ დღეს სპექტაკლში არ მონაწილეობდნენ).

გასაკვიარი ხელოვნებით იყო შესრულებული აღდრეული საშუაობით, აღტყცვაში მოვიყვანდათ შეგარდერობობა მოშახურება.

წარმატული სახანაოთი ნახამოგენი მაყურებელი ხანგრძლივი და მტყხარე ოცებობით შეხვდა სპექტაკლის დასასრულს.

წარმოიდგინეთ, რომ თეატრიდან გამოსული მაყურებელი ერთხელ კიდევ სასამოგენი დარჩა ტრანსპორტის კაჯი მუშაობით.

გვეყვს მციროდინი სახიათის შინიშუნებია: რეუტედავად იმისა, რომ პიესა დაწერილია შესანიშნავი, ძარღვიანი ენით, იგი მაინც მოითხოვს მცირეოდენ დახვეწასა და შესწორებას. მუსიკა მერე მოქმედებს 1 სურათით უფრო ძლიერად უნდა ვფრადეს. მთავარი გზირი მთელი სპექტაკლის მანძილზე ერთი კონტყმით არ უნდა გამოდროფს, რაც მხატვრობა, ჩვენის აზრით, მომავლისათვის უნდა გაიფელოს წინისი. კარგი იქნება, თუ სპექტაკლის დასასრულს მთელი კოლექტივი დირექტორისა და მისი მოადგილეების თანხლებით შეშევა სცენაზე, რაც ოჯაყებს უფოთვ გააღლებინა.

ესა და სხვა მცირეოდინი სახიათის შემოგნების სრულიად ვერ შეუძლიან ხელს ამ დღემთხილი კოლექტის ბრწყინვალე პიესის საწინიშოდ შესრულებას.

მილი მიღაშვილი



ნან. გ. ფირცხალავასი

— მშვენიერი სასაუზმეა, მაგრამ... ნიაბი ვერაფერი გამოართმევ!



ნან. ღონისა

— რა უფეშური ნატყრამორტობია. — მაგის გემო კომხიამ ავტობის ხუღრაზე მოიწინა.

საყვარელო კამო მურზაყანი!

ერთი კვირის წინ თბილისიდან გორამდე ფოთის მატარებლით მგზავრობა მომიხდა. ერთ ქალს, მგონი ქუთაისელი იყო, თან მოჰყავდა გერმანული ნაგაზი. კარი გაიღო. ქარმა დაჰქროლა.

— სკვანიაკია, — თქვა ერთმა მგზავრმა.

მეორემ ღია კარისკენ გაიხედა, სწრაფად დაიხარა ძაღლის პატრონთან და გადაუჩურჩულა:

— პრავდნიკი მოდის, ავჩარკა დამალე.

ქალს ძაღლისათვის ბილეთი ეყიდნა და გამცილებლის გამოჩენას არ შეუშფოთებია. და აი, აქ მოხდა ის, რამაც შენთვის ამ წერილის მოწერა მაფიქრებინა. საუბარი ძაღლების ერთგულებაზე ჩამოვარდა. ზოგმა რა თქვა, ზოგმა — რა. ერთმა ქალმა უცხოეთის გაზეთში ამოკითხული პატარა ამბავი მოგვითხრო. ამბავი მართლაც საინტერესო იყო, მაგრამ ჩემი გულისყური თვითონ თხრობამ მიიპყრო. ეს ამბავი პატარა მოთხრობად ვაქციე. აი ისიც:

„ერთ გოროდში პლოშჩადზე პატარა ასობნიაკი მდგარა. იმ ასობნიაკის ხაზეინს ავჩარკა ყოლია. გადმოყოფდა ავჩარკა თავს აკოშკიდან და ათვალეობდა გამვლელ-გამომვლელს. ხაზეინს ავჩარკა ბაზარშიც დაყავდა, მისცემდა პრავიზიონი სუნკას და ძაღლს საჭმელი სახლში მიქონდა. კალბასი რაა, კალბასსაც კი პირს არ დააქარებდა. ერთხელ ამ კაცთან უცხო ქალი მევიდა — საცოლო. დააზნაკომა კაცმა ის ქალი და ავჩარკა, მარა რაგარც კი ქალი კრაოტზე ჩამოჯდა, ეცა ავჩარკა და ბლუზკა შემოახია. ამაზე გაჯაყრდა ძაღლის ხაზეინი და ავჩარკა მეორე გოროდში მცხოვრებ კაცს მიყიდა, ჩასვა პოეზდში და მიუყვანა ახალ ხაზეინს. გვიარა ერთმა კვირამ, ძაღლი ისევ ისე სკუჩნათ იყო. გამოექცა ახალ ხაზეინს, მივიდა სტანციაში, დაჯდა პერონზე და პოეზდს დოუცადა. გვიარა ერთმა პოეზდმა, მეორემ, მესამემ, ავჩარკა კი არ ჯდებდა შიგ. ვაგზლის ნაჩაღნიკმა ყურადღება მიაქცია, იკითხა, ვისია ავჩარკაო? ხაზეინი ვერსად იპოვნეს. ან სად იპოვნიდნენ! როგორც კი ჩამოდგა ის პოეზდი, რომელიც კაკარაზ იმ გოროდში მიდიოდა, საიდანაც ავჩარკა პირველად წამოიყვანეს, შეხტა შიგ ძაღლი და მიუვიდა მის ძველ ხაზეინს.“

— ნი გავარი!.. — წამოიძახა ერთმა გაოცებულმა ახალგაზრდამ, მგონი სტუდენტმა.

შეიქნა გაცხოველებული მითქმა-მოთქმა, გაოცებისა და აღტაცების წაჰოძახილი.

— Здорово! — თქვა იქვე მჯდომმა რუსმა ზემდეგმა.

— Вот как!?! — გაუკვირდა ეს ახალგაზრდა მგზავრს. — Вы говорите по грузинский? Давно живете у нас? — ჰკითხა მან ზემდეგს.

— Еду впервые!


ამ ამბავმა უფრო გაგვაოცა მსმენელები, ვიდრე გერმანული ნაგაზის უცნაურმა ამბავმა.

აქ ვამთავრებდი მოთხრობას, ჩემო მურზაყანი! ამხანაგებს წაუკითხე და ამან დიდი კამათი გამოიწვია. ერთნი ამბობდნენ, ზემდეგი ვერ გაიგებდა ქალის ნაამბობს, არცთუ მაინცდაძაინც ბევრია გარეული რუსული სიტყვებიო. მეორენი საწინააღმდეგო აზრისა იყვნენ. ამ კამათში ვიყავით, როცა ერთმა, არ ვიცი დაცინვით, თუ ხუჭრობით, მითხრა: ნუ გეშინია, ვიდრე ზემდეგი გენერლობას მიაღწევს, ჩვენს დარბაისლურ ქართულს ჩვენივე დანსახურებით იმდენი სიტყვა შეემატება, რომ ამბავი ყველასათვის გასაგები გახდებაო.

ეს სიტყვა ვიწყინე და გადავწყვიტე წერილით მეცნობებინა შენთვის მთელი ეს ამბავი. მოთხრობა ისევ ისე უჯრაში მიღვეს, ვერ გადამიწყვეტია, წავიღო რომელიმე რედაქციაში თუ არა.

იქნებ შენ მიჩიო რამე?

მარად შენი გ. ჯამბაყური



უცხოეთის იუმორი

გოტფრიდ კელერი ბევრს სვამდა. ერთხელ ღამით, ქუჩაში რომ მიბარბაცებდა, სტუდენტი შემოხვდა. კელერმა მკლავში ხელი წაავლო და ჰკითხა:

„ხომ ვერ მეტყვი, გოტფრიდ კელერი სად ცხოვრობს?“

სტუდენტმა გულიანად გაიცინა და ნწერალს მიმართა: „კი მაგრამ, ბატონო მწერალო, კელერი ხომ თქვენა ბრძანდებით!“

„შე ბრიყვო, ეგ ხომ მეც ვიცი, მე გეკითხები, სად ცხოვრობს-მეთქი!“

* * *

ამერიკელმა მილიონერმა, რომელსაც, როგორც ცნობილი იყო, სიმდიდრე საეჭვო გზით ჰქონდა შეძენილი, ცნობილ მხატვარს პორტრეტი დაახატვინა. მხატვარმა იგი ჯიბეებში ხელმეჩაწყობილი დახატა. მილიონერმა პორტრეტი სტუმარს უჩვენა და ჰკითხა, ჩემსა და პორტრეტს შორის მსგავსებას ხედავ თუ არაო. — არაო, — მიუგო სტუმარმა. — რატომო? — გაიოცა მილიონერმა. — იმიტომ, რომ სურათში ხელები საკუთარ ჯიბეებში გაქვს ჩაყოფილიო.

გერმანულიდან თარგმნა

ნოდარ რუხაძემ

„ალბათ საფლავში გადაებრუნდებოდი, შენთვის რომ ამ ოცდახუთი წლის განმავლობაში ოდესმე მელალატნა“, ეფიცებოდა ქმარი ცოლს. ამ დროს მგზავრმა ჩაიარა და თქვა: „ჩემო კარგო, იმ ქვეყნად ჩარხზე ხომ არ აპირებ მუშაობასო!“

* * *

ბატონი ლემანი ეკითხებოდა ზემანს: „საკვირველია, რატომ მუშაობენ ნწერლები ღამის საათებში?“ ამ დროს მგზავრმა ჩაიარა და თქვა: „იმიტომ, რომ ღამე ქურდობა ადვილიაო.“

გერმანულიდან თარგმნა ნანა ხალაძემ

გაზეთები ნიანგი

შპარ ნიანგო!

შორი კია, მაგრამ ზღვის პაერი არ გაწყენს, ხულოშიაც ჩამოსიერინე! თვალი რომ გიჭრის, ცამ და ქვეყანამ იცის, მაგრამ არც ყურები გაქვს ჩლუნგი: სმენას გიქებენ. მუსიკალურ სკოლაში შემოიარე, ოღონდ სახელმძღვანელოებს ნუ მოგვ-თხოვ და, თუ მოგვთხოვ, მაღალი კლასებისას მოგართმევთ, თუმცა ჯერჯერობით აქ მხოლოდ პირველი კლასია. დიდი ხათრი კი გვაქვს შენი, მაგრამ პირველი კლასის სახელმძღვანელოებს ვერ გიჩვენებთ.

ასე ისურვა საქართველოს მუსიკონდმა: პირველ კლასელებს V—VII კლასების სახელმძღვანელოებს უგზავნის, და პირველი კლასისას კი—არა.

ხულოელი

სანატრიელო ნიანგო!

შუაკაცად დაგვიდექი და ჰკითხე:

1. მაიაკოვსკის რაიონის ჯანმრთელობის განყოფილება: როდემდე აპირებს სოფელი საკრავლა უქეიმოდ დატოვოს?
2. კაჭრეთის რაიონის სოფ. მახარაძის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს: რა ბრძნული მოსაზრებით იხელმძღვანელა, როცა ქობსამკითხველო საპარიკმახეროში გადაიტანა, საპარიკმახერო კი — ქობსამკითხველოში?
3. ზუგდიდის რაიონის სოფ. ნარაზენის შვიდწლიანი სკოლის დირექტორს: უფიქრია თუ არა ოდესმე შეეკეთებინა სკოლის შენობა?

გულშემატკივრები

სასურველო ნიანგო!

შენ მაინც შემობრალე, 25 წელია ვიბადები და საშველი არ დამადგა, ვერა და ვერ დავიბადე. რა გავხდი ასეთი? ჩემი კბილა ბიჭები ცოლში-ლიანები არიან, გოგოებს უკვე საკუთარი კულრა-ტა გოგონები ყავთ, მე კი ისევ ისე ფარდალალად ვდგავარ ჩიტების საბუდრად გადაქცეული.

შენ შემოგველე, ნიანგო, შენი ხელობა არ არის, მაგრამ იქნება გინეკოლოგიაშიაც იყო განსწავლული, მიშველე რამე: თუ ვიბადები, დავიბადო ბარეღამ.

წესტაფონის თეატრის შენობა

ჩიშო ნიანგო!

გასულ წელს მაიაკოვსკიში რომ ტუბდისპანსერი აშენდა, ალბათ გაიგებდი და, შენი კეთილი გულის ამბავი რომ ვიცი, გაგიხარებოდა. იფიქრებდი; ეშველათ ავადმყოფებს, შორს სიარული აღარ დასჭირდებოთ.

და მაინც რა უცნაური ხალხია ეგ ავადმყოფები. «შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვსო», რომ ამბობენ, ისე მოსდით. სხვა ქალაქში მიდიან სამკურნალოდ და ყურის ძირში აგებულს კი სათოფეზე არ ეკარებიან. «საავადმყოფოს ჭაობი აკრავსო გარშემო», «გზა არ არისო», «საგზაო განყოფილება ამ საქმეზე ყურებს არ იბერტყავსო».

მართალს კი ამბობენ!

შემყურე

საუზარელო ნიანგო!

დედას გაფიცებ, არ გაიკვირვო, რაც გითხრა და ჩოხატაურელები გიქებოდ არ ჩავთვალო, რაკი ჩოხატაურ—სურების გზაზე მანქანით სიარულზე უარი ვთქვით და ფეხით სიარული ვამჯობინეთ.

ჩვენი სოფლების თავაკაცებმა იფიქრეს და გადაწყვიტეს, მანქანები ბევრია და გზა რა საჭიროა, — თუ ერთი მანქანა გაფუჭდება, მეორე გაუშვავთ, სამშვიდობოს რომელიმე მაინც გააღწეოს.

ერთხელ ბუკისციხისაკენ ავტობუსიც გამოგზავნეს, გაოჩნდა ავტობუსი, ყირაზე დადგა და სუფისაკენ გაიწია თავის დასასრობად... აქეთ ეცნენ, იქით ეცნენ, ქერში წაავლეს ხელი და ხელი ააღებინეს ამ დეზაგოგიურ განზრახვაზე.

დღესაც ჩოხატაურ—სურების გზას გზას ეძახიან...

ნეტავი ვინმე თუ ზრუნავს იმისათვის, რომ იგი მართლა გზად აქციოს?

მ. ბუკისციხელი

ნაბ. თ. ჯიშკარიანისა



- რაც შეიძლება სრულად ამიდე!
- რატომ?
- რესტორანში ვეწყობი.

გაზირვების ტალკვესო!

ერთ დღით სასწაული ემცნო 9 ძმის ქუჩელებს: თქვენი ქუჩის ცხოვრებაში ახალი ერა დაიწყო, ამიერიდან ზედ ავტობუსი ივლის და ამსიდიდე აღმართ-დაღმართის ავლა-ჩამოვლას ბოლო ეღებო.

მოდო და ნუ გაგიხარდება!

ჩაწიკწიკა გაჩერებები. დაზუსტდა მარშრუტი, გამოჩნდა ავტობუსიც. იწყო ხალხმა გაჩერება გაჩერებებზე.

იარა ავტობუსმა ერთხანს, იარა და...

- რატომ აგვიანებს ნეტავი?
- აიარა?
- ჩაიარა?

- არ აუვლია.
- არ ჩამოუვლია.

ერთი ჩვენი ქუჩელი უკვე ცოლს ეყრება ამ ავტობუსის თაობაზე: ქმარი ირწმუნება, ავტობუსი მალე ხეირიანად ივლისო, ცოლს ეს არა და არ სჯერა და დღე ერთია და საჯერ ჩხუბობენ.

ერთხანს მეც ოპტიმისტურად განვეწყვე: უარი ვთქვი ფეხით სიარულზე, მაგრამ მალე ავტობუსზე უარის თქმა ვარჩიე: გაჩერებაზე ამოდ ხანგრძლივმა გაჩერებამ კინაღამ სამსახური დამატოვებინა!

ნუთუ არ შეიძლება 9 ძმის ქუჩაზე ან ხეირიანად იაროს, ან სულ არ იაროს ავტობუსმა?

დავი აბაშიძე



რედაქტორი—ელგუჯა შაღრაძე. სარედაქციო კოლეგია: აკ. ბელიაშვილი, დ. გაბაშვილი, ს. კლდიაშვილი, გ. ჯაში, ს. ფაშალიშვილი, თ. კელიძე. საქ. კვ. ცენტრალური კომიტეტის გამოცემლობა

თბილისი. სატირიკო-იუმორისტისკი ჟურნალი „ნიანგი“. რედაქციის მისამართი: ლენინის ქ. № 69. ტელეფონები: რედაქტორის—3-76-69, საერთო განყოფილების—2-13-29.

გამომც. № 7. ხელმოწ. დასაბ. 1/IV-1958 წ. ქალ. ზომა 70×108 1/8, 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. 14. ლ. 353. უფ. 02612. ტირ. 40.000.



კრების შემდეგ